

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი

_____ 2016 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, წარმოდგენილი მისი რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით (შემდგომში – „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ, მოქალაქე ----- (პირადი ნომერი _____) (შემდგომში – „დასაქმებული“), საქართველოს შრომის კოდექსით, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და სენატის 2015 წლის 21 დეკემბრის N13/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის“ საფუძველზე, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

მოქმედი კანონმდებლობით, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული ახორციელებს აკადემიურ და სასწავლო-კვლევით საქმიანობას *ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე* ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ----- ფაკულტეტზე, ----- განაკვეთზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს აკადემიის წესდების, შინაგანაწესის, თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული მოვალეობებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ბ) დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

გ) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაავალდებულოს დასაქმებული, რათა მან შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო;

დ) სამუშაოს შესასრულებლად დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიავლინოს სხვაგან;

ე) კანონმდებლობის ფარგლებში წახალისოს დასაქმებული ან პირიქით, აკადემიის შინაგანაწესის, წესდების, შიდა ნორმატიული აქტების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ შესაბამისი სანქციები, მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა;

ვ) დამსაქმებელი უფლებამოსილია, დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მინიმალური დატვირთვის სავალდებულო საკონტაქტო საათების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუქვითოს დამსაქმებელს პროპორციულად შესასრულებელი საათების შესაბამისად.

ND 2-O05-02/2

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 21.12.2015

მოქმედებაშია: 01.08.2012

2. დამსაქმებელი ვალდებულია:

- ა) შეუქმნას დასაქმებულს სასწავლო-აღმზრდელობითი და სასწავლო-კვლევითი საქმიანობისათვის შესაფერისი სამუშაო პირობები;
- ბ) მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის;
- დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

3. დასაქმებულს უფლება აქვს:

- ა) სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;
- ბ) მოითხოვოს და მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;
- გ) ისარგებლოს დასვენებისა და უქმე დღეებით, აგრეთვე ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი და უფასო შვებულებებით;

4. დასაქმებული ვალდებულია:

- ა) შეასრულოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- ბ) თავისი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს იხელმძღვანელოს აკადემიაში მოქმედი შიდა ნორმატიული დოკუმენტით.
- გ) დასაქმებულის დატვირთვა განისაზღვრება 1500 საათით, საიდანაც მინიმუმ 340 საათი წარმოადგენს სააუდიტორიო-საკონტაქტო საათებს. ამ პუნქტით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა დგინდება რექტორის ბრძანებით;
- დ) პროგრამული მიმართულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა უშუალო პასუხისმგებლობით წარმართოს სასწავლო პროფესიულ, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე;
- ე) უხელმძღვანელოს ბაკალავრების / მაგისტრანტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულის საქმიანობაში, იზრუნოს მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის;
- ზ) მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, შფასებისა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში;
- თ) შეასრულოს პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის ნორმატივებით განსაზღვრული სააუდიტორიო და არასააუდიტორიო სამუშაო;
- ი) განახორციელოს საგანმანათლებლო მიმართულების/ციკლის პროფილით საგნობრივი პროგრამებისა და სილაბუსების შემუშავება და შედგენა საზღვაო აკადემიაში დადგენილი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- კ) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით უხელმძღვანელოს აკადემიურ ჯგუფს;
- ლ) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით უხელმძღვანელოს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;
- მ) გაუფრთხილდეს მისთვის დამსაქმებლის მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს;

ND 2-O05-02/2

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 21.12.2015

მოქმედებაშია: 01.08.2012

ნ) აკადემიური პერსონალის სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ნ.ა) ერთ სრულ სამტატო განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის აკადემიაში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება ყოველ სამუშაო დღეს არანაკლებ 6 საათისა.

ნ.ბ) ნახევარ სამტატო განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის აკადემიაში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება სამუშაო დღეს არანაკლებ 4 საათისა.

ნ.გ) შეთავსებით სადღეღამისო სამსახურში დასაქმებულ და აკადემიის ნახევარ სამტატო განაკვეთზე მყოფი აკადემიური პერსონალის აკადემიაში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება სამუშაო დღეს არანაკლებ 4 საათისა ან კვირის განმავლობაში არანაკლებ 20 საათისა.

5. დამსაქმებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით და სენატის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებში დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განისაზღვრება „დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ შესაბამისად.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

1. დამსაქმებელი დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ----- განაკვეთზე გადაუხდის ხელფასს *თვეში* -----(----- ---) *ლარის* ოდენობით;

2. დასაქმებულისათვის ხელფასზე დანამატის, პრემიების ან სხვა სახის ფულადი ანაზღაურების გაცემა განისაზღვრება აკადემიის რექტორის ბრძანებით;

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები:

1. აკადემია უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ასოცირებული პროფესორის მიერ 1 (ერთი) თვით ადრე გაკეთებული პირადი განცხადება;

ბ) დასაქმებულის შრომისუუნარობა ან გარდაცვალება;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების 3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) აკადემიაში მოქმედი შინაგანაწესის უხეში ან/და სისტემატიური დარღვევა;

ე) დასაქმებულის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სასწავლო დისციპლინის აღწერილობაში – სილაბუსში დადგენილი მიზნების შეუსრულებლობა;

ვ) ფაკულტეტისა და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებულ სასწავლო პროცესისა და პროფესორ მასწავლებელთა მუშაობის პერიოდულ შეფასებებში დასაქმებულის მუშაობის არაადამაკმაყოფილებლად შეფასება;

ზ) დასაქმებულის მიერ სასწავლო პროცესის მოთხოვნების (მეცადინეობებისა და შეფასებების ჩატარება ფაკულტეტის მიერ დადგენილი ცხრილის შესაბამისად) სისტემატიური დარღვევა;

თ) სტუდენტის ნაშრომის ან ცოდნის არაობიექტური შეფასება;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -- წლის ვადით-- 201-- წლის -----მდე..

ND 2-O05-02/2

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 3

რევიზიის თარიღი 21.12.2015

მოქმედებაშია: 01.08.2012

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების ცალკეული პუნქტები.
3. მხარეთა შორის წამოქმნილი ყველა სახის უთანხმოება თუ ვერ გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით დავის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, დავა გადასაწყვეტად გადაეცემა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. დასაქმებული, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი გაეცნო აკადემიის წესდებას, შინაგანაწესსა და აკადემიური დატვირთვის პირობებს.

„დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

რექტორი

-----ირაკლი
შარაბიძე

პირადი ნომერი № _____

მისამართი: _____

ტელ.: _____

E-mail: _____

მისამართი: ბათუმი 6010,
რუსთაველის გამზ. 53;
Website: www.bsma.edu.ge;
E-mail: info.mf@bsma.edu.ge;
ტელ./ფაქსი: (995 222) 274850.